ა(ა)იპ ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის მიერ 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის ანგარიში.

ა(ა)იპ ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის მიერ ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის უზრუნველყოფას, გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან აცილებას; მუდმივად მიმდინარეობს მონიტორინგი დაავადებათა ეპიდზედამხედველობის კუთხით, რაც გულისხმობს შემთხვევათა /ეპიდაფეთქებათა/ გამოვლენას, რეგისტრაციას, კვლევას, დადასტურებას, ანალიზს, მონაცემთა ანგარიშგებას, საპასუხო რეაგირებას, მზადყოფნასთან დაკავშირებულ მოქმედებებს, უკუკავშირს და კომუნიკაციას.

ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი ყოველთვიურად და საჭიროების მიხედვით ვალდებულია განახორციელოს: პოლიკლინიკის, ანტირაბიული კაბინეტის, პირველადი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების რგოლების მონიტორინგი - ეპიდ-ზედამხედველობაზე. ჯანდაცვის ცენტრის მიერ ხდება დაავადების შეტყობინების მიღება, დარეგისტრირება, კერების გამოკვლევა, ინფექციის წყაროს გამოვლენა, კონტაქტების დადგენა, აღრიცხვა და საჭირო რეკომენდაციების მიწოდება.

საანგარიშო პერიოდში სჯც-ს დაავადებათა სარეგისტრაციო ფორმა # 60/ბ-ში აღრიცხულია:

1.ტუბერკულოზის 7 საეჭვო შეტყობინება, აქედან დადასტურებულია მხოლოდ 1 შემთხვევა.

2. ბრუცელოზის 4 საეჭვო-შესაძლო შემთხვევა 3 - უარყოფითი შედეგით, 1 დადებითი შედეგით.

3. სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა 80 შემთხვევა;

4. ლეპტოსპიროზი 5 სავარაუდო შემთხვევა;

5. ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება 1 შემთხვევა;

6. ყივანახველა 1 სავარაუდო შემთხვევა;

7. ნოზოკომური ინფექცია 2 შემთხვევა.

მიმდინარე წლის იანვარი - მაისის პერიოდში დაფიქსირდა ჩუტყვავილას ინფექციის შემთხვევების მკვეთრი ზრდა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ბაღებსა და სკოლებში. (ბავშვებში).სულ 37 შემთხვევა.

ბაღებისა და სკოლების ხელმძღვანელებს, სამედიცინო პერსონალს, აღმზრდელებსა და პედაგოგებს, ჩვენს მიერ მიეცათ რეკომენდაციები თუ როგორ უნდა ემოქმედათ მათ. ერთობლივი შრომის შედეგად ჩვენ მივაღწიეთი იმას, რომ ინფექციის ზრდა არ განვითარდა და სასწავლო პროცესიც არ შეჩერებულა.

0-დან 5 წლამდე ბავშვთა სიკვდილიანობის 1 შემთხვევა დაფიქსირდა. გარდაცვალების სავარაუდო მიზეზი იყო გულის უკმარისობა, კრუნჩხვა, ეპილეფსიური პროცესის განვითარება და გულის გაჩერება.

ცხოველთა მიერ დაკბენის, დაკაწვრის, დადორბვლის გვქონდა 69 შემთხვევა, ყველა დაკბენილზე გაგზავნილია შეტყობინება ვეტ. სამსახურში. დამკბენ ცხოველზე ვეტ. ზედამხედველობის დამთავრებამდე დაკბენილებს უტარდებათ ანტირაბიული აცრები ინსტრუქციის შესაბამისად. ჩვენს დაწესებულებაში ანტირაბიული ვაქცინისა და იმუნოგლობულინის მარაგზე შეჰფერხება არ გვქონია, შესაბამისად არც რეგიონულ ჯანდაცვის ცენტრში არ ყოფილა ვაქცინის დეფიციტი.

მიმდინარე 6 თვის მანძილზე, პარაზიტოლოგიურ ლაბორატორიას თვითდინებით მომართა 30 მოქალაქემ, დაფიქსირდა პარაზიტული დაავადებების 8 შემთხვევა. .....

2024 წლის დასაწყისში, ,,ოფიციალური სტატისტიკის შესახებ'' საქართველოს კანონის თანახმად, უწყვეტი სტატისტიკური დაკვირვების პროგრამის ფარგლებში, აღნიშნული სამსახურის მიერ მოხდა მუნიციპალიტეტის ყველა სამედიცინო დაწესებულების სტატისტიკური ანგარიშის მიღება, რაც მოიცავს გასული წლის მანძილზე მათ მიერ შესრულებული სამუშაოს დეტალურ ინფორმაციას, გაკეთდა მიღებული საანგარიშგებო ფორმების დამუშავება, ანალიზი და მიწოდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტატისტიკურ დეპარტამენტისათვის.

შეუფერხებლად ვანხორციელებთ C ჰეპატიტისა და შიდსის სახელმწიფო პროგრამას. მოგეხსენებათ ეს პროგრამა მეტად მნიშვნელოვანია, დადებითი შეთხვევების დროულად გამოვლენის კუთხით. აქტიურად ხდება ც ჰეპატიტზე დადებითი შემთხვევების მიდევნება. ყველა სკრინინგ დადებითი პიროვნება მოძიებიულია, სისტემატიურად ვანხორციელებთ კომუნიკაციას, რათა დროულად მოხდეს ყველა ბენეფიციარის კონფირმაციული კვლევა და საჭიროების შემთხვევაში მკურნალობაში ჩართვა. მიმდინარე წლის ივნისის თვიდან, ჩვენი

მუნიციპალიტეტის 18 საექიმო უბანი ჩაერთო ც ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამაში, ყველა ამბულატორიაშია ხელმისაწვდომი სწრაფი მარტივი ტესტის გაკეთება ც ჰეპატიტის ანტისხეულების აღმოსაჩენად. საანგარიშო პერიოდში სამედიცინო დაწესებულებებში გაკეთდა 147 ც ჰეპატიტის სწრაფი ტესტი. ტესტ სისტემების და შესაბამისი სახარჯე მასალით საექიმო უბნებს უზრუნველყოს ს.ჯ.დ.ც-რი. ტესტირება ც ჰეპატიტზე ასევე აივ-ინფექციაზე მიმდინარეობს როგორც ჩვენს სამსახურში და სამედიცინო დაწესებულებებში ასევე ჩვენი თანამშრომლების (მობილური ჯგუფის) მიერ მოსახლეობაში გასვლების შედეგად. სულ 6 თვის განმავლობაში ჩატარებულია 117 ც ჰეპატიტის და 201 შიდსის ტესტი. დადებითობის მაჩვენებელია 1 ც ჰეპატიტზე.

დაგეგმილი იყო და უკვე შევიძინეთ შარდმჟავის განმსაზღვრელი ტესტები, რომელის გაკეთებაც გასულ წლებში ვერ კეთდებოდა.

სჯც-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა პროფილაქტიკური აცრების მონიტორინგი. პროფ. აცრები ხელს უწყობს ბავშვის იმუნიტეტის (თავდაცვის უნარის) ჩამოყალიბებას კონკრეტული დაავადების მიმართ. სახელმწიფო უზრუნველყოფს 12 მართვადი ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინაციას.

ხარაგაულის სჯც აღჭურვილია მაცივრებით ასაცრელი მასალის შესანახად. მარტის თვეში დაავადებათა კონტროლიდან მივიღეთ დამატებით 3 მაცივარი და ციფრული თერმომეტრები, რომლებიც გადაეცათ იმ დაწესებულებებს, რომლებსაც ამ კუთხით ჰქონდათ პრობლემა. ესენია: რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი - ხარაგაული, სოფელ ბორითისა და სოფელ ხუნევის საექიმო ამბულატორიები.

ჩვენს დაწესებულებაში მაცივრები მუშაობს გამართულად, ხდება ტემპერატურის აღრიცხვა 2.7 ფორმაში დღეში ორჯერ, ვაქცინების ტრანპორტირდება დაავადებათა კონტროლის ცენტრიდან ხდება სპეც. ტრანსპორტით კვარტალში ერთხელ. ხოლო ს.ჯ.ც -დან ს/უბნებზე ვაქცინის ტრანსპორტირებას ახდენენ უბნის ექიმები სპეციალური ცივი ყუთითს საშუალებით.

გასული ექვსი თვის განმავლობაში აცრების მოცვის მაჩვენებელი ნაჩვენებია ცხრილში:

	ვაქცინის დასახელება	გეგმა	შესრულება	%
1	ჰექსაქსიმი დყტ ბ ჰეპ, ჰემ, პოლიო	52	24	44
2	ტეტრაქსიმი 18-24 თვის ასაკის ბავშვები დყტპოლიო	69	28	41
3	ტეტრაქსიმი 5 წლის ასაკის ბავშვები	94	41	44
4	პნევმოკოკის ვაქცინა 1	52	26	50
5	პნევმოკოკის ვაქცინა 2	52	24	46
6	ა.პ.ვ (1) - 10-11-12 წელი	147	26	18
7	ა.პ.ვ. (2) – 10-11-12 წელი	147	38	26
8	წითელა, წითურა, ყბაყურა 1 წელზე	66	39	59
9	წითელა, წითურა. ყბაყურა 5 წელზე	94	41	44
10	ტეტანუსი, დიფტერია 14 წელზე	152	57	38
11	როტა	52	25	48
12	პნევმოკოკის ვაქცინა 3	66	39	59

ენტომოლოგიური მიმართულებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხდება წყალსატევების აღრიცხვა, ხოლო კოღოსა და სხვა მწერების გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებები ტარდება საჭიროების შემთხვევაში.

მოსახლეობის ცხოვრების ჯარსაღი წესის დამკვიდრების მიზნით გაწეული იქნა შემდეგი სახის ღონისძიებები:

მოსახლეობის ინფორმირებულობის მიზნით სხვადასხვა აქტუალურ თემებზე გამოქვეყნდა შემდეგი სტატიები:

4 თებერვალი-კიბოსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე!

12 თებერვალი (ყოველი წლის თებერვლის მეორე ორშაბათი)-ეპილეფსიის საერთაშორისო დღე!

29 თებერვალი (ყოველი წლის თებერვლის ბოლო დღე!)-იშვიათი დაავადებების მსოფლიო დღე!

20 მარტი-პირის ღრუს ჯანმრთელობის მსოფლიო დღე!

21 მარტი-დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე!

26 მარტი ,,იისფერი დღე!"-ეპილეფსიის ცნობიერების ამაღლების მსოფლიო დღე!

29 მარტი-საქართველო თამბაქოს გარეშე!

17 მაისი - ჰიპერტენზიის მსოფლიო დღე!

31 მაისი - დღე თამბაქოს გარეშე!

ხარაგაულის სჯც -ს მიერ სანიტარულ-ჰიგიენური ზედამხედველობა-მონიტორინგის მიზნით შემოვლილი იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ზოგად საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებები, შეივსო შესაბამისი აქტები დაბის N 2 და N 3 საჯარო სკოლებსა და საბავშვო ბაღებში , სოფ. ვერტყვიჭალის საჯარო სკოლში, სოფ. კიცხის საჯარო სკოლაში, სოფ. ბორის სკოლა-პანსიონში და სოფ. ბორითის საჯარო სკოლაში, სადაც ასევე ჩატარდა შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან, პროფილაქტიკური აცრების, მათ შორის პაპილომა ვირუსის ვაქცინაციის მნიშვნელობის შესახებ;

დაბა ხარაგაულის ტერიტორიაზე არსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების დაწესებულებებში (სალონებში), ყოველ კვარტალში ხორციელდება მონიტორინგი ინფექციების პრევენციის და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლის შესახებ, მთავრობის დადგენილება N473 შესაბამისად.

აქტიურად მიმდინარეობდა როგორც ც ჰეპატიტის და აივ იფექციის ტესტირება ისე წნევის კონტროლის სკრინინგი. ხდებოდა როგორც დაწესებულებებში შესვლა ჩვენი სამსახურის

მობილური ჯგუფის მიერ, ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებში. სულ სკრინინგ პროგრამის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო 249 ადამიანმა, აქედან 85 ბენეფიციარს მივაკითხეთ ბინაზე სხვადასხვა სოფლებში.

დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიმდინარე წლის 299 ივნისის ბრძანების საფუძველზე შეწყდა კოვიდ 19 - ზე უფასო ანტიგენ ტესტირება ყველა სამედიცინო დაწესებულებებაში.

გეგმიური, ყოველთვიური მონიტორინგი განხორციელდა მუნიციპალიტეტის სამედიცინო დაწესებულებაში. უსაფრთხო იმუნიზაციისა და ეპიდზედამხედველობის კუთხით შეივსო შესაბამისი აქტები: **<u>იანვარი:</u>** რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი ხარაგაული; სოფ, სარანძილის ს/უბანი; სოფ.ლაშის ს/უბანი. **<u>თებერვალი:</u>** რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი ხარაგაული; სოფ. ზვარის ს/ უბანი; სოფ. მოლითის ს/უბანი. **<u>მარტი:</u>** რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი ხარაგაული; სოფ.ხევის ს/უბანი; სოფ. ხუნევის ს/უბანი. **<u>აპრილი:</u>** სოფ. ვარძიის ს/უბანი; სოფ. ბორითის ს/უბანი; სოფ.ღორეშის ს/უბანი. **<u>მაისი:</u>** სოფ. კიცხის ს/უბანი; სოფ. წყალაფორეთის ს/უბანი; რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი ხარაგაული; სოფ. ვარძიის ს/უბანი. **<u>ივნისი:</u>** სოფ.ღორეშის ს/უბანი; სოფ. ბორითის ს/უბანი; სოფ. წყალაფორეთის ს/უბანი; რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი ხარაგაული.

გრიპის სეზონურობასთან დაკავშირებით 2023 წლის ოქტომბრიდან 2024 წლის მაისის ჩათვლით, ყოველკვირეულად ხდებოდა გრიპისა და ზემო სასუნთქი გზების რესპირატორული ინფექციების აღრიცხვა და შესაბამის ბაზაში დაფიქსირება. სულ მიმართვიანობა სამედიცინო დაწესებულებებში დაფიქსირდა 620 პაციენტის.

ა(ა)იპ ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი.

დირექტორი ალექსანდრე ტაბატაძე.